ბრძანება

N 2
05/05/2020

2-01-4-202005051714

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარის დანიშვნისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 5 მაისის №818 ბრძანებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 15 /თხუთმეტი/ პირით.

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა/. ირაკლი გიორგაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ/. გოჩა გაბუნია - სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის აპარატის უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ/. სოფიო ბოგვერაძე - სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის აპარატში შრომითი ხელსეკრულებით დასაქმებული პირი - კომისიის წევრი;

დ/. ბექა ყურაშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ე/. ნინო ცხოვრებაძე-ჭუმბურიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ვ/. დავით ნიშნიანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ზ/. ნინო იობიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

თ/. შუშანა ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ი/. იოსებ ჩიჯავაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

კ/. ვალერი ყენია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთულის სამხედრო სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ლ/. გიორგი სვანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი.

მ/. ჯონდო არაბიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთულის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ნ/. მირზა მამასახლისი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ო/. ეკატერინე ბოჭორიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადისტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

პ/. თეა გოლეთიანი - არასამთავრობო ორგანიზაცია „ფონდი სოხუმის“ პროექტების კოორდინატორი - კომისიის წევრი“.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის 2017 წლის 6 დეკემბრის №1 ბრძანება

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. №11/ გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. ბრძანება, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნდეს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

ირაკლი გიორგაძე

კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის დებულება

მუხლი 1. გამოყენების სფერო

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის (შემდგომში ,,კომისია“) დებულება აწესრიგებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში ღია და დახურული კონკურსის ჩატარების პროცესს.

2. კომისია საქმიანობას წარმართავს ამ დებულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. კონკურსის არსი, მიზანი და ამოცანები

1. კონკურსი არის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საუკეთესო კანდიდატის შერჩევა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ საჯარო მოსამსახურის ვაკანტური თანამდებობისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

2. კონკურსის მიზანია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით, საუკეთესო კანდიდატის შერჩევა.

3. კონკურსის ამოცანებია:

ა) საჯარო სამსახურში არსებულ ვაკანტურ თანამდებობათა თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბ) ვაკანტური თანამდებობებისათვის კანდიდატების შერჩევისა და საჯარო სამსახურში განმწესების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

გ) საუკეთესო კანდიდატების შერჩევა ვაკანტური პოზიციებისათვის განსაზღვრულ ძირითად, სპეციალურ და ასევე, დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევების, პროფესიული გამოცდილებისა და მოტივაციის შეფასების საფუძველზე.

მუხლი 3. კონკურსის პრინციპები

კონკურსის ეფუძნება: კანონიერების, კანონის წინაშე თანასწორობის, ეკონომიურობისა და ეფექტიანობის, მიუკერძოებლობის, საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობის, ანგარიშვალდებულების, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, გამჭვირვალობისა და ღიაობის და ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ სხვა პრინციპებს.

მუხლი 4. კომისიის მიზანი და ფუნქციები

1. კომისიის საქმიანობის მიზანია, საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის შეფასება.

2. კომისიის ფუნქციებია:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში ღია და დახურული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა დებულებითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) კანდიდატის შეფასება სამუშაო გამოცდილების, მისი პროფესიული ცოდნის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობისათვის გათვალისწინებულ სამუშაო აღწერილობასთან, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებთან და კვალიფიკაციასთან შესაბამისობის დადგენის პროცედურების წარმართვა;

გ) შეფასების შედეგების გათვალისწინებით, მერისათვის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად საუკეთესო კანდიდატის წარდგენა ან წარდგენაზე უარის თქმა.

მუხლი 5. კომისიის შექმნის წესი და შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები.

2. კომისია იქმნება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარედ ნიშნავს, პირველი ან მეორე რანგის პროფესიულ საჯარო მოხელეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოცემული რანგების ყველა თანამდებობა ვაკანტურია. ამ შემთხვევაში, მერი კომისიის თავმჯდომარედ ნიშნავს სხვა საჯარო დაწესებულების შესაბამისი გამოცდილების მქონე პირველი ან მეორე რანგის პროფესიულ საჯარო მოხელეს.

3. კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით, ვაკანტური თანამდებობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

4. კომისიის შემადგენლობაში შედიან: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანურის რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების წარმომადგენელი, მერიის იმ სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი, რომელშიც არის ვაკანტური თანამდებობა, მოხელეთა დარგობრივი პროფესიული კავშირის (არსებობის შემთხვევაში)

წარმომადგენელი და დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი ან/და შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელიც სამსახურებრივად დაკავშირებული არ არის ამ საჯარო დაწესებულებასთან.

5. ამ მუხლის მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი, როგორც წესი, უნდა იყოს უფრო მაღალი რანგის პროფესიული საჯარო მოხელე, ვიდრე გამოცხადებული კონკურსით დასაკავებელი პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობა, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი რეგულაცია.

6. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კომისიის საქმიანობაში, ხმის უფლების გარეშე, შესაძლებელია ჩაერთოს საჯარო დაწესებულების გენდერზე პასუხისმგებელი პირი.

7. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ცვლის მას.

8. კანდიდატი არ შეიძლება იყოს იმ კომისიის წევრი, რომელმაც უნდა მოახდინოს მისი შერჩევა.

9. კომისიის შემადგენლობის კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და კონკურსის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ბიურო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია კომისიის შემადგენლობის შესახებ, რაც უნდა მიეწოდოს კანონით დადგენილი წესით. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ბიურო მიმართავს კომისიის თავმჯდომარეს შემადგენლობის კორექტირების თაობაზე. დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში ეს ასახვას ჰპოვებს ბიუროს მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საჯარო სამსახურის საბჭოსათვის წარსადგენ ანგარიშში.

10. კომისიის წევრი ვალდებულია, ღია და დახურული კონკურსის ეტაპების დაწყებამდე, წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში. ასეთი გარემოების არსებობისას, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს დასახელებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შესახებ კომისიისათვის ცნობილი გახდება ღია ან დახურული კონკურსის მიმდინარეობისას, კომისიის ამ წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

მუხლი 6. კომისიის საქმიანობა

1. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

2. კომისია, როგორც წესი, გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე.

3. კომისია უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მიიღოს კენჭისყრის საფუძველზე; ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. კომისია, ამ წესის შესაბამისად, აფასებს კანდიდატის შესაბამისობას პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

5. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი, თანმიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული ყველა კანდიდატისადმი ღია და დახურული კონკურსის ყველა ეტაპზე.

6. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარდგენილი დოკუმენტების, წერითი ან ზეპირი დავალებისა და გასაუბრების შედეგების, სამუშაო გამოცდილებისა და განათლების შეფასებას.

7. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგი აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

8. კომისია ვალდებულია საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

9. თუ კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წინასწარ განსაზღვრულია ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაზე უფრო მცირე ვადა, კომისია უფლებამოსილია, გაზარდოს იგი ვადის ამოწურვამდე. ასეთ შემთხვევაში, თავდაპირველად განსაზღვრული და გაზრდილი ვადის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

10. საჯარო დაწესებულების მიერ, ღია და დახურული კონკურსის დასრულებიდან (გადაწყვეტილების მიღებიდან) ერთი კვირის ვადაში, ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის შესაბამის მოდულში საჯარო დაწესებულება ასახავს ინფორმაციას ჩატარებული კონკურსის შესახებ: ვაკანტური თანამდებობების დასახელების, შესული განცხადებების რაოდენობის, კონკურსის ფორმის, ღია და დახურული კონკურსის ეტაპების, პროცედურებისა და ღია და დახურული კონკურსის შედეგების მითითებით, ბიუროს მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად.

11. კომისიის მოწვეულ წევრთა შრომა შესაძლებელია ანაზღაურდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ღია და დახურული კონკურსის ეტაპები, ჩატარების ფორმები და პირობები

1. ღია და დახურული კონკურსის ეტაპებია:

ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) კანდიდატის შეფასება;

გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.

2. ღია და დახურული კონკურსის პროგრამას, პირობებს, კანდიდატის შეფასების ფორმებსა და ჩატარების გრაფიკს განსაზღვრავს კომისია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს კომისიის თავმჯდომარე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ღია და დახურული კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეული.

მუხლი 8. ღია და დახურული კონკურსის პირველი ეტაპი

1. ღია და დახურული კონკურსის პირველი ეტაპი წარმოადგენს კანდიდატის განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, რაც გულისხმობს გამოცხადებული ვაკანსიისათვის დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებთან კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას.

2. ღია და დახურულ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, კომისიის დავალებით, უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეული.

3. საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეული, განცხადებების წარდგენისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ადგენს განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

4. განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შედეგებს საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეული წარუდგენს კომისიას, რაც ფორმდება შესაბამისი საოქმო ჩანაწერით და დასტურდება კომისიის წევრების ხელმოწერით.

5. ღია და დახურული კონკურსის მომდევნო ეტაპამდე 7 კალენდარული დღით ადრე კომისია ვალდებულია ელექტრონულად ან/და წერილობით აცნობოს კანდიდატს მის მიერ წარდგენილი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ.

6. კანდიდატის მოთხოვნის შემთხვევაში კომისია ვალდებულია კანდიდატისათვის გაგზავნილ გადაწყვეტილებაში მიუთითოს მისი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიზეზი.

7. კანდიდატს, რომელმაც ვერ გაიარა ღია ან დახურული კონკურსის პირველი ეტაპი, უფლება აქვს, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი განცხადებით მიმართოს ბიუროს განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მოთხოვნით.

8. ბიურო ვალდებულია კანდიდატის მიმართვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და შედეგები დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის კომისიასა და კანდიდატს.

9. თუ ბიურო დაადგენს განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობას, კომისია ვალდებულია, კანდიდატი დაუშვას კონკურსის მომდევნო ეტაპზე.

მუხლი 9. ღია და დახურული კონკურსის მეორე ეტაპი

1. ღია და დახურული კონკურსის მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატის შეფასებას სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

2. კანდიდატის შეფასება უნდა ემყარებოდეს კანდიდატის სამუშაო გამოცდილებისა და მისი პროფესიული ცოდნის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობისათვის გათვალისწინებულ სამუშაო აღწერილობასთან, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებთან და კვალიფიკაციასთან შესაბამისობის დადგენას.

3. კანდიდატის შეფასება ხდება:

ა) წერითი ან/და ზეპირი დავალების მიცემით;

ბ) გასაუბრებით;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეფასების სხვა ფორმების გამოყენებით, რაც გულისხმობს შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის სამუშაო აღწერილობის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელი მოთხოვნების გადამოწმებას.

4. კომისია პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია ან დახურული კონკურსის გამოცხადებისას განსაზღვრავს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ კანდიდატის შეფასების ფორმებს და აცნობებს მათ ბიუროს.

5. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგი აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

6. კომისიის სხდომის ოქმი მისი შედგენიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, წარედგინება პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ფორმებით კანდიდატის შეფასებისას, კომისია უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოიყენოს სხვა ორგანიზაციის მატერიალურ- ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსი.

8. კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში, გასაუბრებაზე შეიძლება განხორციელდეს გასაუბრების აუდიო- ვიდეო ჩაწერა.

მუხლი 10. ღია და დახურული კონკურსის შედეგები

1. კომისია პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს საუკეთესო კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე.

2. კომისია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ხოლო თუ ბოლო კალენდარული დღე დასვენების ან უქმე დღეს ემთხვევა – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა,თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად ან/და წერილობით აცნობებს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

3. საჯარო დაწესებულება ღია და დახურული კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციას ასახავს ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის შესაბამის მოდულში.

მუხლი 11. ღია ან დახურული კონკურსის ჩაშლილად გამოცხადება

ღია ან დახურული კონკურსი ჩაშლილად მიიჩნევა, თუ:

ა) მასში მონაწილეობისათვის წარდგენილი არ იქნა არცერთი განაცხადი;

ბ) კომისიამ დასაბუთებული უარი განაცხადა პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წარდგენაზე.

მუხლი 12. ღია ან დახურული კონკურსის შეწყვეტის საფუძვლები

1. საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის, არასაკმარისი საბიუჯეტო სახსრების ან/და სხვა გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია, შეწყვიტოს გამოცხადებული ღია ან/და დახურული კონკურსი ნებისმიერ ეტაპზე, კანდიდატისათვის კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების გაცნობამდე.

2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ღია ან დახურული კონკურსის შეწყვეტის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება შეატყობინოს კანდიდატებსა და ბიუროს.

მუხლი 13. ბიუროს წარმომადგენლის ჩართულობა ღია და დახურულ კონკურსში

1. ბიუროს წარმომადგენელს უფლება აქვს, დაესწროს საჯარო დაწესებულებაში მიმდინარე კონკურსს მონიტორინგის მიზნით.

2. ბიუროს წარმომადგენელი კონკურსში შესაძლებელია ჩაერთოს საჯარო დაწესებულების დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე ან ბიუროს უფროსის გადაწყვეტილებით.

3. ბიუროს უფროსი, საჯარო დაწესებულების მოთხოვნის საფუძველზე, ბიუროს წარმომადგენლის კონკურსზე დასწრების საკითხს წყვეტს საჭიროებიდან გამომდინარე.

4. ბიუროს წარმომადგენელი, კონკურსზე დასწრების შემთხვევაში, ამზადებს ანგარიშს კონკურსის მიმდინარეობის შესახებ და წარუდგენს ბიუროს უფროსს.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი